სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) სასწავლო პრაქტიკის გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (შემდგომში - საქსტატი) სასწავლო პრაქტიკის გავლის პირობებს.

მუხლი 2.

საქსტატში სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზანია პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, პრაკტიკული უნარჩვევების გამომუშავება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, კადრების რეზერვის შექმნის ხელშეწყობა და სტატისტიკის სფეროში ცოდნის დონის ამაღლება.

მუხლი 3.

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასწავლო პრაქტიკა - საქსტატის სისტემაში ამ წესით რეგულირებული, არაანაზღაურებადი მოკლევადიანი საქმიანობა;

ბ) პრაქტიკანტი - პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სასწავლო პრაქტიკას;

გ) კანდიდატი - პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად საქსტატში შემოტანილი აქვს განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ.

მუხლი 4.

პრაქტიკანტად მიიღება საქართველოს მოქალაქე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

მუხლი 5

1. პრაქტიკანტად მიიღება პირი სასწავლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე.

2. საქსტატის სისტემაში სასწავლო პრაქტიკის გავლის კანდიდატი, დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების განყოფილებაში წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) მომართვა უმაღლესი სასწავლებლიდან;

ბ) განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ (დანართი1-ის შესაბამისად);

გ) ავტობიოგრაფია ან CV;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ე) ერთი ფოტოსურათი (3x4).

3. სასწავლო პრაქტიკის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 45 დღით.

თავი II. პრაქტიკანტის და საქსტატის უფლება - მოვალეობები

მუხლი 6.

პრაქტიკანტს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების მომზადებასა და დოკუმენტაციის შედგენაში, რომლებიც შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) პირადი განცხადებით მიმართოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმიასწარმოების განყოფილებას სასწავლო პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 7.

პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს საქსტატის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის მიერ მათთვის მიცემული ყველა დავალება;

გ) შეისწავლოს დოკუმენტებზე მუშაობის, შესაბამის კორესპონდენციაზე წერილების მომზადების სპეციფიკა;

დ) დაიცვას საქსტატის შინაგანაწესი.

მუხლი 8.

საქსტატი პრაქტიკანტს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 9.

პრაქტიკანტის უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) პირადად აკონტროლოს პრაქტიკანტის საქმიანობა;

ბ) პერიოდულად მიაწოდოს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები და მასთან დაკავშირებით უზრუნველყოს ინფორმაციით;

გ) განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა;

დ) ხელი შეუწყოს პრაქტიკანტს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად.

ე) მისცეს პრაქტიკანტს წერილობითი დახასიათება პრაქტიკის გავლის თაობაზე, რომლის საფუძველზეც პრაქტიკანტს ეძლევა საქსტატში პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი მოწმობა (დანართი 2-ის შესაბამისად).

თავი III. პრაქტიკის გავლის სხვა პირობები

მუხლი 10.

1. საქსტატის სისტემაში პრაქტიკის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პრაქტიკის პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა;

ბ) დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

გ) საქსტატის შინაგანაწესის დარღვევა;

დ) პირადი განცხადება;

ე) ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა;

ვ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

2. გადაწყვეტილება პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ ფორმდება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 11.

იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკანტი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სასწავლო პრაქტიკის ვადის ამოწურვამდე დაინიშნა საქსტატის სისტემაში საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, მას პრაქტიკა ჩაეთვლება გავლილად და ეძლევა შესაბამისი მოწმობა (დანართი 2-ის შესაბამისად).

მუხლი 12.

1. პრაქტიკის გადავადების ან დროებით შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პრაქტიკანტის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა;

გ) პრაქტიკანტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება – საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

დ) სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა.

მუხლი 13.

პრაქტიკის გავლას ორგანიზებას უწევს საქსტატის ადმინისტრაციული სამმართველო.

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

განაცხადი სასწავლო პრაქტიკის გავლის შესახებ

1. გვარი, სახელი ----------

2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------

3. მოქალაქეობა ----------

4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------

5. ოჯახური მდგომარეობა ----------

6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა

---

7. სპეციალობა ----------

8. ამჟამად სწავლობთ თუ არა და სად? ----------

---

9. რომელ უცხო ენებს ფლობთ?

---

10. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: ----------

---

11. საქსტატის რომელ სტრუქტურულ ერთეულში გსურთ სასწავლო პრაქტიკის გავლა. მიუთითეთ სამი სტრუქტურული ერთეული პრიორიტეტების მიხედვით.

ხელმოწერა ---------- შევსების თარიღი ----------

დანართი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში (საქსტატი) პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი

მ ო წ მ ო ბ ა

N _____

ეს მოწმობა ეძლევა _____

(სახელი, გვარი)

მასზედ, რომ მან 201 წლის “ “ _____ დან 201 წლის “ “ _____

მდე

წარმატებით გაიარა სასწავლო პრაქტიკა სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში -საქსტატში

_____

(დაწესებულების სტრუქტურული ერთეული)

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა _____